ვისი ავადმყოფობა უნდა იყოს, კაცი რომ არ დააღონოს, მაგრამ იმ წუთში ისე გვეგონა, თითქოს, ხარძიანის ტკივილი მთელი საქართველოს ტკივილი ყოფილიყოს. ასეთი ოჯახები ხომ ჩვენში თვალის ჩინჩივით გასაფრთხილებელია. ორმოცდახუთი წლის ვაჟკაცი გურამი და მისი მეუღლე თინათინ ჯაჯვანი 14 შვილისა—7 ვაჟის და 7 ქალის პატრონი არიან. სულ უფროსი, ბადრი დღეს 25 წლისაა, უმცროსები კი—ტყუპები ლეილა და ბორისი მხოლოდ 3-3 წლისანი არიან. რესპუბლიკის მთავრობა მსგავს ოჯახებს მართლაც არ აკლებს ზრუნვასა და ყურადღებას. როგორც გამონაკლისს, კალაში მცხოვრებ ხარძიანების ოჯახს ერთი ოროთახიანი ბინა მესტიაში მისცეს, მეორე ოროთახიანი ბინა კი თბილისში — გლდანის დასახლებაში.

რაკი სვანეთის „უმდიდრეს“ ადამიანებსა და გმირ დედებზე ჩამოვარდა სიტყვა, სხვებიც უნდა მოვიხსენიოთ. ამ 5-6 წლის წინათ ერთად მოიმშობიარეს ჭუბერელმა სურათ ვიბლიანმა, მისმა ერთ-ერთმა ქალიშვილმა და რძალმა. ამ-თში რძალ-მულმა პირველად გაიხარა დედობის გრძნობით, სურათ ვიბლიანს კი მე-12 შვილი ეყოლა. სვანეთში სხვაც ბევრია გმირი დედა. ასე მაგალითად, ფარელმა ოლია ჩხვიმიანმა 11 შვილი აღზარდა, 10-10 შვილი ჰყავთ მულახელებს ფაფიკო ნიგურიანსა და ლოლიჩკა ჯაჭვლიანს, ნაკრელ იზოლდა სუბელიანს და ლანამოელ ანა ანსიანს, ლატალელებს ალეკულა ვკაჭიანსა და ვარდო გირგვლიანს.

და მაინც, ყველაზე მეტი „უმდიდრესი“ დედა თუ ოჯახი კალაში ცხოვრობს. ხარძიანების გვარის შემდეგ აქ ამ მხრივ პირველობას გასვიანები იჩემებენ. ოხილიმე და მინადორა გასვიანებს 10 შვილი ჰყავთ. მინადორას კვალს გაჰყვა ერთ-ერთი ქალიშვილი ბუკურია, რომელიც ასევე 10 შვილის დედა გახლავთ. ათ-ათი შვილი ჰყავთ ვაში მარგველანს, მილა გუულბანს, მელეგ გასვიანს, დუკი ჩეგიანს, ბუკურია პირველსა და ზაირა პირველს. ჩვენ აქ ადარ მოვიხსენიეთ ის დედები, რომლებსაც 9 ან 8 შვილი აღუზრდიათ, რადგან მსგავსი ოჯახები სვანეთში, განსაკუთრებით კი ბალსზემო დასახლებაში, ძალზე ბევრია.

როგორც მესტიის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში გვითხრეს, ზარშან მრავალშვილიან დედებს 10.280 მანეთი ერთდროული და 32.857 მანეთი ყოველთვიური დახმარება მიეცათ, ხოლო მარტოხელა დედებმა 560 მანეთი მიიღეს. წლეულს რვა თვის მანძილზე ამ დახმარებათა საერთო ოდენობამ უკვე 26.912 მანეთი შეადგინა.

სასიხარულოა, რომ მრავალშვილიანი დედებისა თუ ოჯახებისათვის სახელმწიფოსთან ერთად რაიონის მშრომელებიც და მეზობლებიც ზრუნავენ, ხოლო ის ფაქტი, რომ მწერალმა კიტა ბუაჩიძემ ერთ-ერთ მრავალშვილიან ოჯახს—მულახში მცხოვრებ ნიგურიანებს თავისი დანაზოგიდან პირადად გაუგზავნა ორი ათასი მანეთი, მართლაც ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ დაინტერესებულია ჩვენი საზოგადოებრიობა მსგავსი ოჯახების მომრავლებით.



 სურათზე: ედისონ გერლიანის მიერ დამზადებული „მახვშის საკარცხული“.

სარაჩოევზე არიან რესტავრატორები

სვანეთი საქართველოს ის ერთ-ერთი კუთხეა, რომელმაც ყველაზე მრავალად და სალად შემოგვინახა ეკლესიები, მათი ფრესკები თუ განძეულობა. სვანეთის სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიციის გამოკვლევით ახლა უშგულის, კალას, იფარის, ულასხის, მესტიის, ლენჯერის, ლატალის, ცხუმარის, ბეჩოხა და ფარის ეკლესიებში 3335 დასახელების 6851 ისტორიული ნივთი ინახება. ამ აურაცხელ უნიკალურ ობიექტთა შორის მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (დირექტორი — ც. ჩართოლანი) და საერთოდ მთელი რაიონი უვლის მაგრამ, ბუნებრივია, დრო გადის, ტაძრებსა და ფრესკებს ბზარები უჩნდება და ფერი ეკარგება.

ორი წელია სვანეთის ტაძრებს საქართველოს ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს რესტავრატორები ეწევიან. გამოცდილმა მხატვარ-ოსტატებმა, გურამ ჭეიშვილმა და მერაბ ბუჩუკურამ უკვე მთავალი საინტერესო ფრესკა აღადგინეს. მათ შორის გამოირჩევა ფარის წმინდა გიორგის ეკლესიის XIII-XIV საუკუნეების ბიბლიური ფრესკები. მუზეუმში აღდგენილია „40 მოწამის ხატი“, აგრეთვე „წმინდა გიორგის“, „წმინდა იოანეს“ ხატები და სხვა. ამჟამად რესტავრატორები მუშაობენ „მთავარანგელოზისა“ და „მაცხოვრის“ ხატების აღდგენასა და ლაღამის (მესტია) წმინდა გიორგის ეკლესიის ფასადური და შიდა ფრესკების განახლებაზე. თბილისელ რესტავრატორებს ამ საქმეში დიდად ეხმარებიან ადგილობრივი მცხოვრებლები, საქმის მცოდნე ადამიანები და ახალგაზრდები, რაიონის მთავარი არქიტექტორი ნუგზარ ჩხეტიანი, ზურაბ ქაფიანიძე, ლალი ჩხვიმიანი, აგრეთვე მუზეუმის თანამშრომლები.

ამას წინათ მუზეუმს ეწვია საქართველოს სხრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ევგენი ხარაძე, რომელიც გაეცნო სვანეთში დაცულ კულტურის ძეგლებს და ეხაუბრა მუზეუმის თანამშრომლებს. საუბარში მრავალი საყურადღებო პრობლემა წამოიჭრა, კერძოდ, შესაკეთებელია მუზეუმის ძველი კორპუსები, უნდა გაიაზარდოს მოსახლეობისაგან ეთნოგრაფიული ნივთების შეძენა, შეიქმნას სპეციალური ქიმიური ლაბორატორია და რაც მთავარია, დროზე დაიწყოს მუზეუმის ახალი შენობის აგება. ამ ახალი ორსართულიანი მუზეუმის პროექტი, რომლის ავტორები რამაზ კიკნაძე და გიორგი მეტრეველი არიან, უკვე მზად არის და ახლა სიტყვა მშენებლებზეა.

სოფელ ჭუბერში ერთ ისეთ ამბავსაც გაიგებთ, თავდაპირველად ლეგენდად რომ მოგეჩვენებათ. ამ 70-80 წლის წინათ ვინმე ნორალდ ვიბლიანს დეგრის ტყეში თურმე დიდძალი განძისათვის მიუგნია, ზოგიერთი ნივთი შინ წამოუღია კიდეც, მაგრამ ხელმეორედ რომ მისულა იმ ადგილზე, მოპირდაპირე მხარეს აზიდულ კირალის მთებსა და ტყეებს ცეცხლი წაჰკიდებია. შემინებულ მონადირეს, ნაპოვნი განძეულიდან რაც გადარჩენილი ჰქონდა, ყველაფერი უკან დაუბრუნებია. ვიბლიანი ისე დაღუპულა, რომ საიდუმლო არავისთვის გაუნდია.

— ეს ლეგენდა კი არა, სინამდვილეა, ოღონდ ზოგი რამ გადაჭარბებულია, — გვითხრა სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა შოთა ჩართოლანმა, ოთმელიც ექსპედიციის სხვა წევრებთან ერთად ჭუბერში, ლარილარის გათხრებზე ვნახეთ.

— ექსპედიციას ხომ არ მიუკვლევია ამ საგანძურისათვის?

— დეგრინ ტყე უზარმაზარია და თუ ვინმეს შემთხვევით არ გაუღიმა ბედმა, ისე იმ ადგილის მიგნება შეუძლებელია. მაგრამ მთავარი ის არის, რომ საგანძურის მიკვლევის ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ძველ სვანეთს აქტიური სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა ჰქონია ანტიკურ სამყაროსთან. ამავე ხეობაში სხვაგან ნაპოვნმა ოქროს მონეტებმაც, რომლებიც ალექსანდრე მაკედონელის მონეტების მიბაძვით არის დამზადებული, თავის დროზე ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი ეკვთიმე თაყაიშვილი აკი იმ ვარაუდამდე მიიყვანა, რომ ადრე ამ ადგილებში ოქროს მონეტების მოსაპრელი ზარაფხანა ყოფილა. ანტიკურ სამყაროსთან სვანეთის მჭიდრო ურთიერთობას ლარილარის გათხრებიც ადასტურებს.

— მაინც რა ფაქტები აქვს ექსპედიციას და საერთოდ რით გამოირჩევა ლარილარის გათხრები სხვა გათხრებისაგან?

— ლარილარის კრემაციულ სამარხებში, რომელსაც პირველი მონაცემებით ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე-მეოთხე საუკუნეებით ვათარიღებთ, დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ეგვიპტეში დამზადებული მძივ-სამაჯლები, აგრეთვე ბერძნული ნაკეთობანი და აქვე, ადგილობრივად დამზადებული ნივთები, რომელთა დამუშავების სტილში აშკარად იკვრძნობა იმპორტული ნაწარმის ზეგავლენა. განსაკუთრებით მდიდრად არის წარმოდგენილი ორნამენტული ბრინჯაოს მხატვრულ-ხელოსნური ნაკეთობანი, რომლებიც ყურადღებას იქცევს დამუშავების სიფაქიზით და იმდროინდელი სვანეთის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენათა განზოგადებით. ამასთანავე გათხრებმა დაადასტურა, რომ ძველად აქ მეთუნეობას მისდევდნენ. ეს უკანასკნელი ფაქტი ჯერჯერობით სვანეთის სხვა გათხრებში არ შეგვხვედრია. საერთოდ ლარილარის გათხრები იმითაც არის საყურადღებო, რომ მას ბრილის გათხრების გარდა ანალოგია არ მოეძებნება.

— როგორც ვიცით, აქვე ახლოს მიკვლეულია ძველი კოშკის ნანგრევები, რომელიც ბალსზემო სვანეთში, მგონი, ერთადერთია. რით არის ალსანიშნავი და რას გვეუბნება ეს კოშკი?

— კოშკი ბევრ საინტერესოს გვიამბობს. აქამდე სვანეთში შესწავლილ კოშკებში ყველაზე „უხნესიც“ კი მეთერთმეტე საუკუნით თარიღდებოდა. ლარილარის კოშკის აღმოჩენამ, იქ მიმდინარე გათხრებმა და ამის შედეგად მოპოვებულმა მასალამ დაგვიდგინა ამ კოშკის დანგრევის თარიღი—დაახლოებით მერვე საუკუნე. ეს კიდევ ერთხელ დასტურებს აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის, პროფესორ გიორგი გოზალიშვილისა და სხვა მეცნიერების მოსაზრებას, რომ აქ ადრე შუა საუკუნეებში სვანების ერთ-ერთი ტომი — მისიმიანები ცხოვრობდა და არა სხვა ტომები. სხვათა შორის, ამას ამტკიცებს ლარილარის სამარხოვნის გათხრებიც, რომელიც, როგორც ვთქვით, ბრილის გათხრების ანალოგიურია. ბრილში კი, უკვე დამტკიცებულია, რომ მე-16 საუკუნემდე სვანური ტომები ცხოვრობდნენ.

ლარილარის გათხრები გრძელდება. შოთა ჩართოლანთან ერთად მიწისქვეშა საუკუნეებს გულმოდგინედ სწავლობენ მეცნიერი თანამშრომლები ბესიკ შერაზადიშვილი, ნელი ტაბუეკი და ნინო რახმაძე, ლაბორანტები თამარ ჯაფარიძე, მარინე ბაქრაძე, რუსუდან თევდორაშვილი, თეიმურაზ ნაკანი და სხვები, რომლებსაც ძალზე დიდ დახმარებას უწევენ ჭუბერის საშუალო სკოლის (დირექტორი — ლ. სუბელიანი) მოსწავლეები, საავადმყოფოს (მთავარი ექიმი — ა. სუბელიანი) მუშაკები და საერთოდ თითქმის ყველა ჭუბერელი. აქაურებს უყვართ თქმა, ჩვენს ხეობაში ბარის ყოველ დაკვრაზე „რაღაცას“ წაიყოდნენ. მოთა ჩართოლანი კი ასე გვეუბნება, ნენსკრის ხეობაში სხვა ძეგლებიც გვეგულება, ისინი მინიშნებული, აღრიცხული გვაქვს და მათი შესწავლა მომავლის საქმე არისო.

ხეც „ლილეს“ მღერის

ხის პირველი იარაღი იყო თუ ავეჯი, ადამიანმა იმთავითვე ნაირგვარი ჩუქურთმით, ჯერ პრიმიტიული, შემდეგ კი უფრო რთული ორნამენტით შეამკო. და ასე, დასაბამიდან დღემდე, ხის მხატვრული დამუშავება ხელოვნებად იქცა. ამის საუკეთესო მაგალითი ხომ საქართველოში ტრადიციად ქცეული ხის მხატვრული დამუშავების ძველი და ახალი ნიმუშებია. ამ ერთი წლის წინათ თბილისში ჩინებული გამოფენა მოაწყო მხატვარმა რევაზ ნარტყოშვილმა. ხის კვეთას და მის მოჩუქურთმებას დღეს არაერთი ოსტატი მიხდევს რეს-პუბლიკაში, მეტადრე სვანეთში. როცა მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მე-11 საუკუნის ძეგლთან აცია მთავარანგელოზის ეკლესიიდან ჩამოხსნილ კარს ან მე-18 საუკუნეში დამზადებულ სასულიერო კათედრას ნახავთ, შემდეგ კი სხვა დარბაზში თანამედროვე ოსტატების მიერ გაკეთებულ ჩანგს, ჭიანურს, ზარდახშასა თუ აზარფეშებს იხილავთ, ირწმუნებთ, რა სიფაქიზით გაუგრძელებიათ ხის მხატვრული დამუშავების უძველესი ტრადიცია სვანეთში. მუზეუმში ხის კვეთის მრავალი ოსტატი დაგვისახელეს, ზოგსაც ჩვენ მივაკვლიეთ აქა-იქ სოფლებში, მაგრამ ამჯერად ცხუმარელ ახალგაზრდებზე გვინდა გესაუბროთ.

საერთოდ სოფელი ცხუმარი, ისევე როგორც ჰეტუთი, ოდითგან იყო ცნობილი ხის კვეთის ოსტატებით. ცხუმარის ერთ-ერთ უბანში ლაფსულალდში, ხადაც გუგუსიანები ცხოვრობენ, ორ ოსტატს დღემდე შემორჩა ძველებური ხის დასამუშავებელი დაზგები.

— ვინ იცის, ხის მხატვრული დამუშავების სიყვარული გენეტიკურად მათგან მომდევს. დედაჩემი ხომ გუგუსიანია, — გვეუბნება ცხუმარელი ახალგაზრდა ედისონ გერლიანი, რომლის ნამუშევრების ნახვამ შეუძლებელია არ ააღელვოს მნახველი. იფიქრებ, ამ ახალგაზრდა ოსტატის ჯადოქრულ ხელს ერთის დაკვრით შეუძლია ჩუქურთმათა ზღაპრის შექმნა.

ედისონ გერლიანის მეზობლად ცხოვრობენ მისი ბიძაშვილი თემურ გერლიანი და ანტონ ხაღლიანი, რომლებიც ასევე ჩინებულად ფლობენ ხის მხატვრული კვეთის საიდუმლოებას.

ამ დღეებში ხობის საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ჟურნალ „დროშის“ მთავარ რედაქტორს ხუტა ბერულავას, რომელიც აირჩიეს ქალაქ ხობის საპატიო მოქალაქედ. შეხვედრაზე პოეტმა წაიკითხა კოლხეთისადმი მიძღვნილი ახალი ლექსები, რომელთაც ქვემოთ ვბეჭდავთ.

ხუტა ბერულავა

ახლა, როდესაც მიხმობ, კოლხეთო...

შენი პოეტი სარბიელზე რომ დგას ურყევად,
ეს იმას ნიშნავს: გაჭრა შენმა ლოცა-კურთხევამ, —

აღმეკსო სული კეთილითა, ვით საგანძური,
დაკიმორჩილე სამუდამოდ რითმა მაცდური!

როგორც კი შენი ჯადოსნური ლოცვა-კურთხევა,
განიმეორა საქართველოს ყველა კუთხემ,

ფეხზე წამოვდექ, გავიმართე წელში თამამად...
ხამს თაყვანიგცეს უთვალავმა ჩემისთანამან!

ახლა, როდესაც დედასავით მიხმობ ისევე,
მე შორეული სიყმანვილის ზღაპარს ვიხსენებ:

...დაღლილი მგზავრი როცა შევდექ გზაჯვარედინზე,
მთებს ანათებდა უკვე ზღვაში ჩასასვლელი მზე.

გუდა მოვიხსენ და როს შევძელ თავის ბნევა,
კლდეთა კედელზე წავიკითხე მკრთალი ნარწერა:

— თუ მარცხნივ წახვალ, მიადგები მაღალ სასახლეს,
თვალს რომ მოგჭრის და სიხარულით აგაცახცახებს.

შეაღებ კარებს, გაგიღიმებს მეფის ასული,
მზეთუნახავი, ცისფერთვალა და ფერნასული.

ედემის ბაღში შეგიყვანენ მისი მხევლები,
დაენაფები უკვდავების ნყალს გახელებით.

იცოცხლებ ქვეყნად ისე დიდხანს, ვიდრე ინებებ,
ტურფა ქალებიც ნებიერად გაგიცინებენ;

გელის წყალობით და სიამით სავსე ცხოვრება,
მაგრამ ვინცა ხარ, სადაური არ გეხსომება;

არც „აი ია“ გეხსომება, არც იავნანა,
არც ხობისწყალი, არც ენგური, არც ის მანანა,

ვინც გათაყვანა სილამაზეს, თვალწინ გადაშლილს,
და... ვერასოდეს დაბრუნდები ქარიატაშიც!

— მარჯვნივ წახვალ და, ან მოკვდები, ან გადარჩები,
ვერ დაისვენებ ბალლობიდან გარჯას ნაჩვევი,

წინ კატასავით გადაგირბენს შური მრავალჯერ,
თავს შეაძულებ უნებურად გულით ალქაჯებს;

წყალი და პური ისე ხშირად მოგენატრება,
ვით მშობლიური ცის და მიწის წმინდა ხატება.

ამ გზით იცლი და ვერ იპოვი ბედს და სიმდიდრეს,
ამ გზით იცლი და სიმშვიდესაც ვერ დაიკვიდრებ,

ამ გზაზე შენთვის უმაღლესი ჯილდო იქნება
მუდმივი ბრძოლა სიკეთისთვის და... ჩაფიქრება;

და კიდევ ერთი ჯილდოდ გელის — თუკი გადარჩი, —
მზეჭაბუკივით დაბრუნდები შენს ნაკვნარში!“

მარცხნივ წადიო, მაქეზებდა ძალა მაცდური,
მარჯვნივ წადიო, მეძახოდა ხმა ვაჟაცური.

საითაც გულმა გამიწია, ხალხმა გამიგო,
ერთი გზა მქონდა, არ ვისურვე სათადარიგო...

სრბოლა წლებისა, ნუღა მკითხავ, არად ჩავაგდე,
ოღონდ ეს გული, ვით ფელურმა, გავაჩანაგე,

ვლენე, ვამსხვრიე, ვათამაშე, ვაფორიაქე,
ვიდრე უნებურ მივაგნებდი სანდო იალქნებს.

ამიხდა ნატვრა — სიყმანვილის ძველი ზღაპარი,
და დღეს, როდესაც ისევ მიხმობს შენი მთა-ბარი,

ძმათა ალერსით და ღიმილით ძალმოცემული,
შენი წინსვლით და განახლებით გოცებული, —

ხმამაღლა ვამბობ, მიმიხვდები თუმცა ჩუქმელად:
გაჭრა სრულიად საქართველოს ლოცვა-კურთხევამ!

30 ოქტომბერი, 1981.

ექსპრომტი ქალაქ ხობს

რა დიდხანს იყავ ქვეყნად სოფელი,
რა დიდხანს გერქვა სახელი დაბის!
როგორ ნატრობდა ყველა ხობელი,
დაედგა შენთვის გვირგვინი დაფნის!

გამოგაჩინა შენმა საქმემან
და უფრო დიდი გაქვს დასახული...
დღეიდან შენი მოქალაქე ვარ,
შენი დიდების ერთი მსახური.

მადლობელი ვარ, რომ ამაღელვე
და გამიცოცხლე ყრმობის ფიქრები.
ბრძანე, მაუწყე, მთხოვე, მამღერე, —
შენთან ვიყავ და შენთან ვიქნები!

3 ნოემბერი, 1981.

ქართველი მხატვრის მრავალფეროვანი პალიტრა

საგზოთა კავშირის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში მოსკოველები ინტერესით გაეცნენ საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ვახტანგ დუგლაძის ნამუშევრების გამოფენას...

ვ. დუგლაძემ 1943 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. მისი მასწავლებლები იყვნენ გამოჩენილი ქართველი, მხატვრები ა. ჭუთათელაძე, ს. ქობულაძე, უ. ჯაფარიძე. ვ. დუგლაძე 1946 წლიდან ცხოვრობს მოსკოვში. წლების განმავლობაში იმყოფებოდა საზღვარგარეთ და მუშაობდა საბჭოთა პავილიონების მთავარ მხატვრად...

გამოფენაზე ავტორმა წარმოადგინა ნამუშევრები, რომლებიც დიდი სითბოთი ასახავს იმ ქვეყნების ბუნებას, ადათ-წესებს, არქიტექტურას და ადამიანებს, სადაც ქართველ მხატვარს უხდებოდა მუშაობა. დამთვალიერებელთა ინტერესი გამოიწვია საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, შვეიცარიის, იტალიის, ბულგარეთის, უნგრეთის, დანიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პინაკოთეკებმა, ნამუშევრებში ასახული ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელმა კოლორიტმა და ყოფამ.

აქვეა მხატვრის მშობლიური ჩანახატები. რამდენი სინაზე და სითბოა სვანურ ეტიუდებში, მახინჯაურის და ციხისძირის პეიზაჟებში, მშვენიერია მოხუცი ქართველის პორტრეტი, დიდი ალმაფრენით არის შექმნილი მხატვრის დედის პორტრეტი...

აი, რა გვთხრა სსრ კავშირის სახალხო მხატვრმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა თ. სალახოვმა.

— ნაირი-ნაირი ფერებით ბრწყინავს ვ. დუგლაძის პალიტრა. მის ნამუშევრებს ჭეშმარიტი სიხარული მოაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ დარბაზში არავინ დარჩება გულგრილი. გულით ვულოცავ ჩემს ქართველ კოლეგას.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ქ. მოსკოვი.

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

● იემენი

მადლობა დახმარებისათვის

სანა. აქ გაიმართა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საკონსულტაციო საბჭოსა და შეიარაღებული ძალების სარდლობის წარმომადგენელთა გაფართოებული ერთობლივი სხდომა, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირში იემენის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ალი აბდალა სალეჰის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგები.

სხდომაზე გამოსულმა იემენის არაბთა რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა აბდელ ქერიმ ალ-არაშიმ აღნიშნა, რომ პრეზიდენტ ა. ა. სალეჰის წარმატებული ვიზიტი მოსკოვში უსათუოდ მოახდენს დადებით ზემოქმედებას საბჭოთა კავშირ-იემენის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ ზრდასა და გაღრმავებაზე ბევრ დარგში.

იემენის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და საკონსულტაციო საბჭომ მიღებულ დადგენილებაში მადლობა გადაუხადეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას, მთელ მეგობარ საბჭოთა ხალხსა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს, იმისათვის, რომ ეხმარებიან იემენელ ხალხს მისი ქვეყნის განვითარების საქმეში.

საკლესიასა და ახალი ამბების საკავშირო კორესპონდენტები გვეტყობინებენ



4 ნოემბერი

● ᲐᲨᲨ

პენტაგონი გეგმავს...

ვაშინგტონი. პენტაგონმა ფაქტობრივად დაადასტურა პრესის ცნობები, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს საუდის არაბეთის გადაქცევას თავის ერთ-ერთ მთავარ სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმად ახლო აღმოსავლეთში. სამხედრო უწყების წარმომადგენელმა გ. ეელსმა პრესკონფერენციაზე აღიარა, რომ შეერთებული შტატები 5-10 წლის მანძილზე გეგმავს „ინტეგრირებული თავდაცვის“ შექმნას მთელი ახლო აღმოსავლეთისათვის. ეს გეგმა, კერძოდ, ითვალისწინებს ამერიკის საომარი საჭურვლის წინასწარ განლაგებას საუდის არაბეთსა და სხვა ქვეყნაში, აგრეთვე ამერიკის ჯარების გადაყვანას ამ ადგილებში.

დამატებითი ცნობა

ექვსი 1400 მეგადური

დელი. გრძელდება 1400 მეგადურის ძებნა, რომლებიც უგზოუკვლოდ დაიკარგნენ გრიგალის შედეგად, ინდოეთის გუჯარათის შტატის სანაპირო რაიონებს რომ დაატყდა თავს. მაშველ ოპერაციებში მონაწილეობენ ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდები.

სტიქიამ სჭარბობი მატერიალური ზარალი მიაყენა სანაპირო სოფლებს, აგრეთვე კანდლის ნავსადგურს, სადაც ხუთი გემი ჩაიძირა. ზღვაში გასული 190 თევზსაჭერი გემიდან ნაპირზე მხოლოდ 83 დაბრუნდა.

გარდაიცვალა უხუცესი ადამიანი

ისლამაბადი. როგორც გაზეთი „პაკისტან ტაიმსი“ იტყობინება, 1 ნოემბერს გარდაიცვალა ედადამიწის ერთ-ერთი უხუცესი ადამიანი 157 წლის პაკისტანელი მოქალაქე მალიქ ჰაბიბ რასული.

ᲛᲐᲓᲚᲝᲒᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

● საფრანგეთი

ევროპის პარლამენტის სესია

პარიზი. სტრასბურგში გაიხსნა „საერთო ბაზრის“ საკონსულტაციო ორგანოს — ევროპის პარლამენტის მორიგი სესია. მის დღის წესრიგში დგას ერთადერთი საკითხი—ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული „საერთო ბაზრის“ 1982 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა. მოელიან რომ მძაფრი კამათი გაიმართება. ევროპის პარლამენტის საბიუჯეტო კომისიამ უკვე მოამზადა პროექტის თავისი ვარიანტი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება დეპუტატთა განსახილველად გატანილი პროექტისაგან. იგი, კერძოდ, თვალისწინებს, მკვეთრად შემცირდეს მინისტრთა საბჭოს მიერ დაგეგმილი ხარჯები, რომელიც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ეგრეთ წოდებული „ერთიანი“ სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის დაფინანსებას უნდა მოხმარებოდა, და რამდენადმე გაიზარდოს სოციალური პროგრამებისათვის განკუთვნილი ასიგნებანი.

აქ გაიხსენეს, რომ მას შემდეგ, რაც ორი წლის წინათ ევროპის პარლამენტს გაერთიანების ბიუჯეტის პროექტის განხილვაციების უფლება მიენიჭა, მის განხილვას მუდამ მოსდევდა წინააღმდეგობა „საერთო ბაზრის“ საკონსულტაციო ორგანოს ამ აღმასრულებელ ორგანოებს შორის. 1980 წლის ზაფხულში ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ბიუჯეტის ირგვლივ წამოჭრილი მწვავე უთანხმოების გამო „საერთო ბაზარი“ ლამის ფინანსური კატასტროფის პირას აღმოჩნდა. წელს არაერთი თვე მოუნდა წამოჭრილი კონფლიქტის მოწესრიგებას, რადგან საფრანგეთმა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და ბელგიამ უარი თქვეს დაეფინანსებინათ ბიუჯეტი იმ სახით, როგორადაც მოიწონა იგი ევროპის პარლამენტმა. მიმომხილველნი არ გამორიცხავენ, რომ პარლამენტის ახლანდელი სესია შეიძლება ახალი ხანგრძლივი კონფლიქტის პროლოგი გახდეს.

ჰუსეინი უარყოფს კემპ-დევიდს

იორდანიის მეფის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი. რ. რეიგანის ადმინისტრაცია იორდანიის მეფე ჰუსეინის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში იყენებს იორდანიაზე ზეგავლენის მიზნით, რათა აიძულოს იგი, მხარი დაუჭიროს არაბული სამყაროს მიერ უარყოფილ კემპ-დევიდის კაპიტულანტურ გარიგებას.

ჰუსეინთან აქ გამართულ შეხვედრაზე პრეზიდენტი რ. რეიგანი ყოველნაირად ეწევდა რეკლამას კემპ-დევიდის პროცესს და გამოთქვა „იმედი“, რომ იორდანია შეუერთდება მას. მაგრამ, როგორც ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელთა განცხადებები მოწმობს, მეფემ კვლავ დაადასტურა, რომ იორდანია უარყოფითად ეკიდება კემპ-დევიდს, რომლის მიზანია გაამარადოსოს ისრაელის მიერ არაბული მიწების ოკუპაცია. ჰუსეინმა, განაცხადა ამ წარმომადგენლებმა, თქვა, რომ საჭიროა შეიქმნას „შესაფერი სტრუქტურა“ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის და დასძინა, რომ ასეთი გადაწყვეტის დიდმნიშვნელოვანი პირობებია პალესტინის არაბი ხალხის ხელშეუვალი უფლებების ცნობა და ხსრაელის წასვლა იერუსალიმის არაბული ნაწილიდან.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებს სხვა აღარაფერი დარჩენიათ, თუ არა ის, რომ აღიარონ „სერიოზული დაბრკოლებების არსებობა“ კემპ-დევიდის გარიგებასთან იორდანის შეერთების საკმეში, რადგან, როგორც აღინიშნა, მეფეს მიიჩნია, რომ მას „არ მოჰყოლია პროგრესი“ პალესტინის საკითხში.

ეი-ბი-სის ტელეკომპანიის მიმომხილველი იუწყება: მოლაპარაკებაზე რეიგანი უმთავრესად ლაპარაკობდა იმაზე, როგორ უნდა დაიცვან იორდანია სხვა არაბებისაგან, მეფე კი ლაპარაკობდა იმაზე, როგორ უნდა დაიცვან ყველა არაბი საფრთხისაგან, რომლის წყარო არ დაუსახელებია. უეჭველია, იგი „ულისხმობდა ისრაელს და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მხარდაჭერილი კემპ-დევიდის გეგმას, რომელსაც იგი უარყოფს.

პოლიტიკა მხატვრის თვალით

ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტული კურსი, გამალებული შეიარაღების დაჩქარება და მახინრივი მოსპობის ახალი იარაღის წარმოება სულ უფრო მზარდ წინააღმდეგობას აწყდება მთელ მსოფლიოში (გაზეთებიდან).



გზა დავუხსნოთ!

გ. ლომეიძის ნახატი.

საერთაშორისო შენიშვნები

სიტუაცია არავითარ საყოველთაოდ მიღებულ ლოგიკას არ ემორჩილება: განვითარებული ინდუსტრიული სახელმწიფოს პარლამენტი კონსტიტუციური საკითხების გადაწყვეტისას იძულებულია ყოველთვის ბრიტანეთის გვირგვინს მიმართოს. რას იზამ, ასეთია დღევანდელი კანადის სინამდვილე.

ნეკერჩხლის ფოთლის ქვეყნის საუკუნეზე მეტი ხნის ისტორიის მიუხედავად, მის ძირითად კანონს დღემდე არ აზის თავისთავად ბუნებრივი დამღა „დამზადებულია კანადაში“. ამ ქვეყნის კონსტიტუციას ცვლის ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის აქტი, რომელიც 1867 წელს ვესტმინსტერის სასახლემ მიიღო. რამდენადაც იგი ინგლისის პარლამენტის კანონია, მისი ძირითადი დებულებების შეცვლა მხოლოდ ლონდონს შეუძლია. კანადა კი მოკლებულია სუვერენული სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ პრეროგატივას — იმის უფლებას, რომ დამოუკიდებლად განაგებდეს თავის კონსტიტუციას.

ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის აქტით კანადის ფედერალიზმის სისტემაში სხვადასხვა უფლებამოსილებანი აქვს მინიჭებული ფედერალურ და პროვინციულ მთავრობებს. თავდაცვა, საგარეო ურთიერთობა, გადასახადების გადახდევინება და პროვინციებს შორის ვაჭრობის რეგლამენტირება ფედერალური მთავრობის პრეროგატივად იქცა. პროვინციების კომპეტენციაში კი შედის საკითხები, რომლებიც განათლებას, სოციზრუნველყოფას, შრომითს ურთიერთობას ეხება. მათს საკუთრებაშია ბუნებრივი რესურსები.

მაგრამ აქტის მიღებიდან გავლილი 114 წლის მანძილზე მოფლიოში ბევრი რამ შეიცვალა. კანადამ სერიოზული ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ეროვნული ტრანსფორმაცია განიცადა. ამიტომ ეს კანონი სულ უფრო ხშირად უძლური ხდება პასუხი გასცეს კითხვას, თუ ვის უნდა ენიჭებოდეს უპირატესობა ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტისას.

ძირითად კანონში დაშვებულმა ხარვეზებმა განაპირობა ქვეყანაში ფედერალურ-პროვინციულ ურთიერთობათა სერიოზული გამწვავება. ბოლო ათი წლის მანძილზე ოტავასა და პროვინციებში წარამარა აბრალებენ ერთმანეთს თავიანთი უფლებების ხელყოფას.

ვერ ვიტყვით, რომ კანადაში არ ცდილან კონსტიტუციის პრობლემის გადაწყვეტას. ამას ცდილობენ აგერ უკვე 54 წელწადია. მაგრამ კონსტიტუციურ გარდაქმნათა ტვირთი ადგილიდან არ იძვრის. ფორმალურად იმის გამო, რომ ფედერალურმა მთავრობამ და პროვინციებმა საერთო ენა ვერ გამონახეს, თუ რა შესწორებები შეიტანონ ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის აქტში მას შემდეგ, როცა ვესტმინსტერის სასახლე აქტს მთის სრულ გამგებლობაში გადასცემს.

აქ ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ არის, რომ კანადაში კონსტიტუციური რეფორმის მომხრენი ასე ელოლიავებიან საუკუნის წინანდელ დოკუმენტს, თანაც ინგლისის პარლამენტის მიერ მიღებულს, იმის ნაცვლად, რომ კანადის ნამდვილი კონსტიტუცია შექმნან? როგორც ჩანს, სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული.

მართლაც და, რატომ არ უნდა თქვან უარი კანადელებმა ხავსმოკიდებულ აქტზე? ამგვარ კითხვაზე ფედერალური ხელისუფლების წარმომადგენლები დაახლოებით ასეი პასუხს იძლევიან: „ასე გადავწყვიტეთ იმიტომ, რომ ჩვენ ასე გადავწყვიტეთო“. მაგრამ, თუ საქმეში უფრო ღრმად ჩავიხედავთ, ცხადი გახდება, რომ აქტის შენარჩუნება ქვეყნის ძირითად კანონად ხელს აძლევს იმ კონსტიტუციური სპექტაკლის ყველა მომქმედ პირს, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტია კანადაში თამაშდება, სხვანაირად რომ ვთქვათ, ფედერალურ მთავრობასა და ათ პროვინციულ მთავრობას. ამის თამაზეი ტორონტოს გაზეთი „სტარი“ ნიშანდობლივად წერდა, ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის აქტი უფრო მეტად ცნობილია არა იმით, რაც მასში არის, არამედ იმით, რაც მასში არ არსო. საკმარისია თქვას, რომ მასში ნახსენებიც კი არ არის კანადელთა უფლებები და თავისუფლებები. სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ მისი „დღეგრძელობის“ მიზეზი. მდიდარი და გავლენიანი კანადელები სწორედ ასეთი კონსტიტუციის წყალობით გრძნობენ თავს არხეინად.

კონსტიტუციურ კამათს ახალი იმპულსი მიეცა შარშან გაზაფხულზე, როცა რეფერენდუმის წინ კვებეკში პრემიერ-მინისტრი პ. ტრიუდო დაპირდა ამ ფრანგულენოვანი პროვინციის მოსახლეობას, კონსტიტუციის პრობლემას, ბოლოს და ბოლოს, გადავწყვეტთო. ფრანგული წარმოშობის კანადელა არათანასწორუფლებიანი მდგომარეობა მეტ პოპულარობას ანიჭებდა მმართველი ნაციონალისტური პარტიის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის სხვა ნაწილებთან კვებეკის კავშირურთიერთობის არსებითს შესუსტებას. მიუხედავად ამისა პროვინციის მოსახლეობამ, რომელიც ენდო პრემიერ-მინისტრს, მხარი არ დაუჭირა კვებეკის ნაციონალისტური პარტიის მიერ წამოყენებულ „სუვერენიტეტ-ასოციაციის“ იდეას, ტრიუდო იძულებული გახდა ემოქმედნა.

პროვინციებთან უნაყოფო მოლაპარაკების შემდეგ (ათიდან რვა პროვინციამ არ გაიზიარა ოტავის მიერ შეთავაზებული კონსტიტუციური რეფორმის გეგმა), ფედერალურმა მთავრობამ გადაწყვიტა უარი ეთქვა კონსენსუსის პრინციპზე, რომელსაც მანამდე იცავდნენ. კონსტიტუციის პროექტი პარლამენტის განსახილველად წარადგინეს.

მაგრამ მთავრობის განზრახვამ ცალმხრივი წესით, პროვინციებთან შეუთანხმებლად განეხორციელებინა ქვეყნის ძირითადი კანონის რეფორმა, მწვავე ოპოზიცია გამოიწვია. რეა პროვინციამ მთავრობას კანადის უმაღლეს სასამართლოში უჩივლა. იმედოვნებდნენ, რომ, რამდენადაც წინათ აქტის ყოველგვარ დამატებას პროვინციებს უთანხმებდნენ, ამჯერად მათი აზრის უგულებელყოფას სასამართლო უკანონოდ ჩათვლიდა.

მაგრამ უმაღლესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი. ტრიუდოს გეგმას, ფაქტობრივად, გზა გაუხსნეს. პარლამენტში საკონსტიტუციო რეზოლუციისათვის ქენჭისყრის შემდეგ იგი ლონდონში გაიგზავნება. ფორმალურად ახლა საქმე ვესტმინსტერის სასახლეზეა.

ამავე დროს უმაღლესმა სასამართლომ ზოგი რამ დაუთმო პროვინციებსაც, როცა ცნო, კანადის პოლიტიკური ტრადიციებით კონსტიტუციური საკითხები მათი თანხმობით უნდა წყდებოდეს. ეს მომენტი მაშინვე გამოიყენეს პროვინციებმა ოტავის გეგმის განხორციელების საწინააღმდეგო კამპანიის დასაწყებად. სასამართლოს ორჭოფული გადაწყვეტილება კიდევ უფრო ამწვავებს ფედერალურ-პროვინციულ ურთიერთობებს და ქვეყანაში საშინაო-პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციას იწვევს.

კანადის ფედერალური მთავრობის მიერ განხორციელებული კონსტიტუციური რეფორმა ყველაზე გაბედული ცდაა ამ ქვეყნის ისტორიაში იმისა, რომ შეცვალოს ძირითადი კანონი. ცხადია, რომ ტრიუდოს გეგმის წარმატება იურიდიულ საფუძველს შეუქმნის კანადის კონსტიტუციას. მაგრამ საქმე ის არის, მოისურვებს თუ არა ფედერალური მთავრობა ამ საკითხის კიდევ უფრო გაღრმავებას. არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია აგრეთვე ის, თუ ვის მიემხრობიან კანადელები კონსტიტუციის შემდგომი მოდიფიკაციის საკითხში — ოტავას თუ პროვინციებს.

დღემდე კონსტიტუციური კამათი, ფაქტობრივად დიალოგი პროვინციებისა და ოტავის მთავრობებს შორის. მოსახლეობას კი ჩუმი მეთვალყურის როლი აქვს მიკუთვნებული. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემებით, არსებულ პრობლემათა მნიშვნელობის თვალსაზრისით კონსტიტუციის საკითხი პირველ ადგილზე არ დგას. კანადელებს სურთ, რომ უწინარეს ყოვლისა გადაწყდეს მათთვის არსებითი — სიძვირის, ინფლაციის, უმუშევრობის პრობლემები.

მართალია ტრიუდოს კონსტიტუციური რეფორმა წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ბევრი პრინციპული საკითხი, როგორიც არის ქვეყნის მოქალაქეთათვის გარანტირებული უფლებების მინიჭება, მის მიერ პრაქტიკულად უგულებელყოფილია. მთლიანად არ არის გათვალისწინებული ფრანგული წარმოშობის კანადელთა ეროვნული ინტერესები და მათი თვითგამორკვევის უფლება. და განა ეს არ მოწმობს, რომ კვებეკელთათვის რეფერენდუმის წინ მიცემული სიტყვა ქარს გაატანეს?

ცხადია, რომ კანადაში კონსტიტუციური პრობლემის დემოკრატიულ საფუძველზე გადაწყვეტისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა ქვეყანაში ფრანგული და ინგლისური წარმოშობის კანადელი ერების ცნობა, მკვიდრი მოსახლეობის უფლებების უზრუნველყოფა, ქვეყნის ყველა მოქალაქის პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებების დაცვა.

კანადა: კონსტიტუციური რეფორმის ქსელში

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘ

4:2! პროგნოზი გამართლდა ოღონდ ჰირიქით

„დინამო“-„ბასტია“ — 3:1 (1:0)

თბილისი. 4 ნოემბერი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 8 გრადუსი სითბო. 80.000 მაყურებელი.

მსაჯები — როოტი, ბრემი, დიუნერი (ყველანი — გფრ).

„დინამო“: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე (ქვანია — 23-ე და ხელეგაძე — 87-ე წუთიდან), ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, კაკილაშვილი, შენგელია.

„ბასტია“: იარი, კაზი, ბაკონიე, ორლანდუჩი, ბაჯიკა, ფიარი, პონტე, იილი, მილა, ერლაშე, მარსიალი.

გოლები: შენგელია (მე-15 და 74-ე წუთებზე), სულაქველიძე (მე-60 წუთზე), მილა (90-ე წუთზე).

გაფრთხილებული არიან სვანაძე, ბაჯიკა და ფიარი.

მაშ ასე, ამ ორი გუნდიდან საბოლოო გამარჯვება თბილისის „დინამომ“ მოიპოვა: სტუმრად ფრე — 1:1, შინ — 3:1 ანუ 4:2 თბილისელთა სასარგებლოდ. საქართველოს ტელევიზიით ბევრმა იხილა ბასტიის სტადიონის ტაბლოზე წარწერილი ციფრი — 4:2. პირველი მატჩის წინ ასეთი ანგარიშით გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ „ბასტიის“ ქომაგები თავიანთ გუნდს, მოხდა კი პირიქით: ეს საწადელი სწორედ დინამოელებმა აისრულეს.

ახლა მივყვეთ ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების განმეორებით მერვედფინალურ მატჩს, რომლის შედეგმაც თბილისელებს გუშინ მეოთხედფინალისკენ გაუკაფა გზა. მე-15 წუთზე გუცაევი, დარასელიამ და შენგელიამ დიდებულად გაითამაშეს სამსვლიანი კომბინაცია, რომელიც „დინამოს“ მთავარმა ბომბარდირმა შენგელიამ „ბასტიის“ კარის აღებით დაამთავრა. საერთოდ, ამ ხნის განმავლობაში დინამოელთა ტერიტორიული უპირატესობა აშკარა იყო. გოლის გატანის შემდეგ კი, განსაკუთრებით მას მერე, როცა ტრავმამოუშუშებელმა ჩივაძემ დატოვა მოედანი, მასპინძლებმა თამაშის ტემპს ერთგვარად უკლეს და დაცვაშიც დრო და დრო შეუთანხმებელი მოქმედების მოწმენი გავხდით. ალბათ ამის გამო იყო, რომ კორსიკელებმა რამდენიმე საკმაოდ სახიფათო კონტრიერიშიც განახორციელეს. ბასტიელთაგან თბილისელთათვის ერთობ რთული ვითარებაში განსაკუთრებული აქტიურობით და თამაშის საკმაოდ მაღალი ტექნიკით გამოირჩეოდნენ ზანგი ფეხბურთელები ილი (№ 8) და მილა (№ 9).

ეს იყო და ეს. შესვენების შემდეგ კორსიკელებმა პრესინგით თამაშის ტაქტიკა თანდათან უარყვეს. ეს გასაგებიც იყო, რადგან მათ ამ ხერხმა ვერაფერი სარგებელი მოუტანა და ამიტომ ტევეთი ტაქტიკა აირჩიეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ თამაში ხანგრძლივ ხანს და... მასპინძლებს სწორედ ეს აძლევდათ ხელს, მათ მანევრების არეც გაუფართოვდათ მათს იერიშებსაც მეტი სიმწარე ახლდა.

შესვენების შემდეგ საუცხოო ითამაშა კაკილაშვილმა, რომელმაც მის წინ ზღუდედ აღმართული სამი მეტოქე უკან ჩამოიტოვა და ხელსაყრელ პოზიციაზე მყოფ სულაქველიძეს გადასცა ბურთი. ამ უკანასკნელმა ზუსტად დაარტყა და მართლაც ლამაზი გოლი გაიტანა. ამის შემდეგ იმარჯვა დარასელიამ. მან ფეხბურთი დაუსვა ბურთი შენგელიას, რომელმაც გონებამახვილურად ეს გამოიტყუა მეკარე იარი და ანგარიში 3:0-მდე გაზარდა. მატჩი მიწურულს მილამ თბილისელთა კარში ერთადერთი სპორტული გოლი გაიტანა.

შეხვედრის არბიტრმა ძირითადად საუცხოოდ იმსაჯა.

ამრიგად, „დინამომ“ ევროპული ტურნირის საშემოდგომო ციკლი წარმატებით განვლო მეოთხედფინალში გავიდა.

დაბოლოს, მატჩს ესწრებოდა საფრანგეთის გაზეთის „ფრანს სუარის“ კორესპონდენტი ი... სწორედ იმ გაზეთისა, რომელმ მთელი ფრანგული პრესის სახელ... რისპირო შეფასება მისცა ბასტ... აში თბილისელთა თამაშს. იცის, იქნება აქ, თბილისში მა... დარწმუნდა „ფრანს სუარის“ ... რმომადგენელი იმაში, რომ ... მოელთა კოლექტიური შ... ლებლობანი მართლაც ... რომ თბილისელი ფეხბურთელ... ბის ინდივიდუალური თვისებ... საშუალო დონეზე გაცილ... მაღალია და მათ არც გამო... ნებლობა და არც გონებამახ... ლობა აკლიათ საფეხბურთო ... დონეზე მოქმედებისას. სამ... გოლი ჩვენმა ფეხბურთელებ... ხომ სწორედ არასტერეოტი... ლი, გონებამახვილურად გა... შებული კომბინაციების შედეგ... გაიტანეს.

ჯ. ენუქიძ...

ჩემპიონთა თასი. კიევის „დინამო“-ვენის „აუსტრია“ — 1... (პირველი მატჩი მოიგეს კიევლებმა — 1:0 და ამრიგად მეო... ხედფინალში გავიდნენ).

უეფას თასი. გფრ-ის „კაიზერსლაუტერნი“-მოსკოვის „სპარტაკი“—4:0 (პირველი შეხვედრა ... გო „სპარტაკმა“ — 2:1. „სპარტაკი“ გამოეთიშა შეჯიბრებას).

სურათზე: შეტევაზეა რ. შენგელია. ვ. გენგიურის ფოტო.

თბილისის გარნიზონის უფროსის

ბრძანება

1981 წლის 7 ნოემბრის თბილისის გარნიზონის ჯარების პარადის შესახებ

§ 1

1981 წლის 7 ნოემბერს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 64-ე წლისთავის აღსანიშნავად 10 საათსა და 00 წუთზე დანიშნულია თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი. პარადს მიიღებს ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ო. თ. კულიშევი.

პარადის სარდლობა ნაბრძანები მაქვს მე.

§ 2

ნაწილების მეთაურებმა გამოგზავნონ მეხაზეები და გამოიყვანონ ჯარები პარადზე დამტკიცებული რაოდენობით დადგენილ დროს.

ტანსაცმლის ფორმაა საზაფხულო, სამწყობრო საპარადო.

§ 3

სასახლეტო-საარტილერიო ... ფის უფროსმა პოლკოვნიკმა ... აბრამიანმა მისცეს საარტილერიო სალუტი ჩემი მითითების თ... ზმად.

§ 4

საერთო ხელმძღვანელობას ... რნიზონის ჯარების გამწკრივებ... და მათი გავლის დროს რუსთაველ... ის პროსპექტზე წესრიგ... დასამყარებლად ვავლენ თბილ... სის გარნიზონის სამხედრო ... მენდანტს პოლკოვნიკ ა. ნ. ჩ